საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №13

ქ. თბილისი

10.05.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ივანე ალავიძე - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ნოდარ ნოზაძე - შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დამფუძნებელი;
2. ნანა ნოზაძე - შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დირექტორი;
3. მანანა გაბათაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარის" დირექტორი;
4. ნათია მერებაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარის" ხარისხის მართვის მენეჯერი;
5. თენგიზ რაზმაძე - შპს - მერცხალის დამფუძნებელთა წარმომადგენელი;
6. მარიკა ბერიშვილი - შპს - მერცხალის დირექტორი;
7. ია ბაგრატიონ-მუხრანელი - ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;

ლ. ღოღელიანი

8. გია ჩხიკვიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
9. ზაზა ჩიქოვანი - ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
10. გოჩა გუგუშვიილი - ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის მოძღვარი;
11. ნუგზარ ყენია - შპს - NK-ას დირექტორი;
12. მარიამ ქუთათელაძე - შპს - სკოლა XXI საუკუნეს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
13. თამარ კიკნაძე - შპს - სკოლა XXI საუკუნეს სასწავლო პროგრამების მენეჯერი;
14. მარინე დეკანოიძე - შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის დირექტორი;
15. ავთანდილ სვიმონიშვილი - შპს - მეექვსე საავტორო სკოლის დირექტორი;
16. პაატა ლაბარტყავა - შპს - მეექვსე საავტორო სკოლის მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი;
17. მარიამ ცინცაძე - შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს ,,სადუნის" დირექტორი;
18. მამუკა მესხიშვილი - შპს - ქართულ-ამერიკულ უმაღლესი სკოლის დირექტორი;
19. რუსუდან ბორცვაძე - შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯეს-ის დირექტორი;
20. ნუგზარ ქუთათელაძე - შპს - ახალ ლიცეუმის დირექტორი;
21. ირინა ზედგინიძე - შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა კოლეჯის დირექტორი;
22. ზურაბ არღვლიანი (იღუმენი თევდორე) - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი;
23. ნაზი ქალდანი - ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
24. თამარ ადეიშვილი - შპს - ,,ღონე ქვეყნისა''-კერძო დაწყებითი სკოლის დირექტორი;
25. ნათელა დოლიძე-მახარაშვილი - შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის დირექტორი;
26. თამარ შალვაშვილი - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სასწავლო პროცესის მენეჯერი;
27. ლელა თვარაძე - შპს - საგანძურის იურისტი;
28. ცისანა სულაბერიძე - შპს - საგანძურის რექტორი;
29. ელისაბედ ბალიშვილი - შპს - საგანძურის ხარისხის მართვის მენეჯერი;
30. ირმა მანაშერიძე - შპს - ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი;
31. ეკა ლუაშვილი - შპს - ინტერბიზნესის აკადემიის იურისტი;
32. გიორგი ფარულავა - შპს - ,,კოლეჯ გამას'' დირექტორი;
33. ნესტან აბსავა - შპს - ,,კოლეჯ გამას'' ხარისხის მართვის მენეჯერი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ ვეფხვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - დამოუკიდებელ სკოლა ,,მოძღვარში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - NK-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - მეექვსე საავტორო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს ,,სადუნში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯეს-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
14. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - ,,ღონე ქვეყნისა''-კერძო დაწყებითი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - საგანძურის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - ,,კოლეჯ გამას'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,ლამპარი'' საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ,,ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 206111955) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 208156261) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ბიბლიოთეკაში წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული ბიბლოგრაფიული წესით, კერძოდ, არ აქვს ჯიბაკები, არ არის დამოწმებული ბეჭდით, არ აქვს მინიჭებული საინვეტარიზაციო ნომერი. ასევე არ არის ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკას არ აქვს სამკითხველო დარბაზი, გარდა ამისა ის გამოიყენება, ასევე, საკლასო ოთახად (ტარდება ხელოვნების გაკვეთილები).

1.2 სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი.

1.3 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მე-6 კლასის ჟურნალი არ იყო ბუნების გაკვეთილზე (ნ. კიზირია); მე-7 კლასის ჟურნალში არ არის შესრულებული მიმდინარე ნიშნებისა და გაცდენების დაჯამებები; არ არის მე-2 სემესტრის გაკვეთილების ცხრილი.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, დავით კახნიაშვილმა, განაცხადა, რომ ის ვერ ხედავდა ვერანაირ პრობლემას, თუ ბიბლიოთეკის ოთახში ჩატარდებოდა ხელოვნების გაკვეთილები. საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შედეგად, თავმჯდომარემ, აღნიშნული კუთხით, ხარვეზი არ გათვალისწინა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, მოძიებულ იქნა ხელოსანი, რომელიც უახლოეს მომავალში მოაწყობდა ადაპტირებულ სველ წერტილს, თუმცა დაწესებულების დირექტორმა საბჭოს ვერ წარუდგინა აღნიშნული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. მისი განცხადებით, თუ საბჭოს ნებას დართავდა, მეორე დღესვე წარმოადგენდა ცენტრში აღნიშნულ ხელშეკრულებას.

გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსის, გიორგი ელისაბედაშვილის, განცხადებით, თუ საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას, ხარვეზების გამოსასწორებლად, მონიტორინგის სამსახური შეისწავლის სკოლის მიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტაციას, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მოიწვევდა პედაგოგიურ საბჭოს და ჟურნალების წარმოების წესის დარღვევებისათვის მასწავლებლებს გამოუცხადებდა საყვედურებს.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ჟურნალების წარმოების წესის დარღვევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია და მისი განცხადებით, ის, რომ აღნიშნული სკოლის დირექტორის ადგილზე ყოფილიყო, უკვე მოწვეული ეყოლებოდა პედაგოგიური საბჭო და აღნიშნული, აღარ გახდებოდა საბჭოს განხილვის საგანი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - მერცხალის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის შვიდდღიანი (5 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - მერცხალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 5 სამუშაო დღის ვადა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა, გარდა შემდეგი შენიშვნებისა:

1.1 სკოლაში ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, სკოლის დირექტორის 2012 წლის 10 თებერვლის №28 ბრძანებით აღგდომის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცხადებული იყო არდადაგები 2012 წლის 18 აპრილიდან 2012 წლის 20 აპრილის ჩათვლით. გაცდენილი დღეების აღსადგენად ამავე ბრძანებაში მითითებულია შაბათი დეღეები (24.03.2012წ, 28.04.2012წ, 05.05.2012წ, 19.05.2012წ, 02.06.2012წ). აღნიშნულის შესახებ არაფერია ნათქვამი სკოლის სასწავლო გეგმაში, გარდა ამისა ამ ბრძანებით ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმით და სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო დღეების რაოდენობა I და XII კლასელი მოსწავლეებისათვის, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით I და XII კლასელი მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესი წყდება 2012 წლის 15 მაისს, აღნიშნულის გამო ისინი ვერ აღადგენენ ოთხშაბათსა და ხუთშაბათს გაცდენილ დღეებს, რომელთა აღდგენაც დირექტორის ბრაძანებით განსაზღვრულია 2012 წლის 19 მაისა და 02 ივნისს.

1.2 სკოლის ოთახები აღჭურვილია 21 ორადგილიანი 91 ერთადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით. ორადგილიანი მერხები არ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებს“. საკლასო მაგიდების რაოდენობა არ არის საკმარისი ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტინგენტისთვის, კერძოდ, სკოლა საჭიროებს დამატებით 29 ერთადგილიან მერხს.

1.3 სკოლის მეორე შენობაში ქ. თბილისში, გამსახურდიას №34-სა და ალ. ყაზბეგის №2-ში არ აქვს ადაპტირებილი სველი წერილი.

1.4 სკოლას ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №44-ში მდებარე ფართში გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომლის ნაწილი ალაგია ყუთებში, დაახლოებით ლაბირატორიის 1/3 გაშლილია და განლაგებულია კარადებში. რაც შეეხება სკოლის მიერ დაკავებულ მეორე ფართს (ქ. თბილისში, გამსახურდიას №34-სა და ალ. ყაზბეგის №2-ში),

რომელშიც სასწავლო პროცესი ხორციელდება I-VII კლასებისათვის, მასში სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

1.5 ქ. თბილისში გამსახურდიას გამზირი N44-ში მდებარე შენობაში განთავსებულია სამი შიდა უსაფრთხოების კამერა, ხოლო ქ. თბილისში, გამსახურდიას N34-სა და ალ. ყაზბეგის N2-ში მდებარე შენობაში ორი შიდა უსაფრთხოების კამერა, სადაც ვერ მოხერხდა წინა დღეების ჩანაწერების ნახვა. სკოლას არ გააჩნია გარე პერიმეტრის უსაფრთხოების კამერები. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის ერთ მისამართზე დასამონტაჟებელი (გამსახურდიას გამზირი N44-ში) 2 (ორი) გარე პერიმეტრის კამერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო სკოლის მეორე მისამართზე (გამსახურდიას N34-სა და ალ. ყაზბეგის N2-ში) დაწესებლებას დამატებით ესაჭიროება 2 (ორი) გარე პერიმეტრის კამერა. რომელიც უნდა შესაბამებოდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისათვის გამოსწორებული იყო მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მთელი რიგი ხარვეზები. დარჩენილი შენიშვნების გამოსწორება კი, მაგალითად, უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, მოხდებოდა უახლოეს დღეებში. ამასთან, წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა ამ ეტაპზე განთავსებულია ორ მისამართზე და აწარმოებს მოლაპარაკებას სკოლა მთიებთან შენობის არენდით აღების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი სექტემბრიდან უკვე ახალ მისამართზე გადავა. რაც შეეხება 1.1 შენიშვნას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლაში დასვენებად გამოცხადდა ბრწყინვალე შვიდეულის დღეები, ხოლო სასწავლო წელი მთავრდება 14 ივნისს.

თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სკოლას შეეძლო დასვენების დღეების გამოცხადება, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები აუცილებლად უნდა შესრულდეს, მათ შორის მე-12 კლასის მოსწავლეებისთვისაც. მართალია, სკოლაში სასწავლო წელი 14 ივნისს მთავრდება, მაგრამ მე-12 კლასის მოსწავლეებს გაცილებით ადრე ეწყებათ საატესტატო გემოცდები, რაც ასევე გასათვალისწინებელია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების სრულად გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ორკვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად - აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 სამუშაო დღის ვადა.

5. შპს - NK-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფის დაკსკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - NK-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - NK-ს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - NK-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200012743) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლა აღჭურვილია 64 ერთადგილიანი და 169 ორადგილიანი მოსწავლის მერხით. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტინგენტის დასაკმაყოფილებლად სკოლას, დამატებით, ესაჭიროება 416 ცალი ერთადგილიანი მოსწავლის მერხი.

1.2 დაწესებულება ფლობს 5 ცალ უსაფრთხოების კამერას, აქედან სამი კამერა შენობაშია დამონტაჟებული, ერთი კამერა განთავსებულია სკოლის ცენტრალურ შესასვლელში, ხოლო მეორე - (სათადარიგო) გასასვლელში. ცენტრალური შესასვლელი სრულად არ კონტროლდება. კერძოდ, არ კონტროლდება ფეხით მოსიარულეთა გზის სავალი ნაწილი, სადაც უნდა დამონტაჟდეს გარე პერიმეტრის არანაკლებ 2 კამერა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.3 სკოლას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (N 74/ო - 15 სექტემბრი) განსაზღვრული აქვს სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების, სასწავლო დღეებისა და არდადაგების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობის არდადაგების დრო, რომელიც ეწინააღმდეგება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადაგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის N84/ნ ბრძანებას, ასევე ეწინააღმდეგება თვით დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასწავლო წლის კალენდარს. სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა 2012 წლის 07 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით (გამოცხადებული იყო არდადაგები) აღნიშნული არდადადაგები არც ერთ ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში მოხსენიებული არაა, რის გამოც, დარღვეულია სკოლის სასწავლო გეგმით და ბრძანებით დადგენილი სასწავლო დღეების რაოდენობა.

1.4 სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. შესასვლელი მცირე ზომისაა. არ არის დამონტაჟებული დასაყრდენი სახელურები.

1.5 სკოლა აღჭურვილია 20 ცალი კომპიუტერითა და 3 ცალი ლეპტოპით. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 480-ით.

1.6 საკლასო ჟურნალების შერჩევითი შემოწმებისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: მე-7[1] კლასის ჟურნალში არ არის გაკეთებული შეფასებებისა და გაცდენების დაჯამებები; მასწავლებელ მაია სირაძეს 12 მარტს გადასწორებული აქვს შეფასება; შენიშვნებზე არ არის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები; მე-9 კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი სახლმძღვანელოების დასახელება, ავტორისა და გამომცემლობის დასახელება; არ არის შეფასებებისა და გაცდენების დაჯამებები; არ არის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები; მე-12 კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი I-II სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, სახელმძღვანელოების დასახელება, ავტორებისა და გამომცემლობის დასახელება; არ არის შეფასებებისა და გაცდენების დაჯამება; დაჯამებებში ნაცვლად „X"-ა წერია „0", ზოგ შემთხვევაში ჟურნალი ნაწარმოებია ფანქრით; შენიშვნებზე არ არის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სკოლას ჩაბარდა 8 მაისს, შესაბამისად, ცენტრში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია ხარვეზების ნაწილის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, სკოლაში დაწესდა შიდა მონიტორინგი დოკუმენტაციის წარმოების წესის გასაკონტროლებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მერხებთან დაკავშირებული ხარვეზი დასკვნაში არ ფიქსირდებოდა. მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, ივანე ალავიძემ, სკოლის წარმომადგენელს მის მიერვე წარმოდგენილ დასკვნის ასლში მიუთითა მერხებთან დაკავშირებულ ხარვეზის არსებობაზე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - სკოლა XXI საუკუნის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ათდღიანი (7 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 სამუშაო დღის ვადა.

7. შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204872174) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. შპს - მეექვსე საავტორო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფის დაკსკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - მეექვსე საავტორო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მეექვსე საავტორო სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404405443) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს "სადუნში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 საკლასო ჟურნალების შერჩევითი შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: მე-9 კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი შეფასებები და არც დაჯამებებია შესრულებული 25 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, ასევე არ ხდება გაცდენების დაჯამება. არ არის ხელმოწერები მასწავლებლის შენიშვნებზე. მე-12 კლასის ჟურნალში მასწავლებელ ხათუნა გურაშვილს არ აქვს შეტანილი შეფასებები და დაჯამებები, გადასწორებულია დაჯამებები და შეფასებები 233 გვერდზე, არ არის შენიშვნებზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ჟურნალის წარმოების წესის დარღვევისათვის მასწავლებლებს გამოეცხადათ შენიშვნები.

სხდომის თავჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა სხვა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს "სადუნში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს "სადუნის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს სადუნის (საიდენტიფიკაციო კოდი: 202063480) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

10. შპს - ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 202937983) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

11. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფის დაკსკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს, ივანე ალავიძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსის (საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

12. შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა, გარდა შემდეგი შენიშვნისა:

1.1 სკოლა აღჭურვილია მოსწავლეთა 155 ერთადგილიანი და 33 ორადგილიანი მერხით. სკოლას ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტის დასაკმაყოფილებლად დამატებით ესაჭიროება 65 ერთადგილიანი მერხი.

1.2 სკოლას არ აქვს შემუშავებული წესრიგის დაცვის მექანიზმები.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავჯდომარის პოზიცია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ახალი ლიცეუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების სრულად გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ერთკვირიანი (5 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ახალ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 5 სამუშაო დღის ვადა.

13. შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა, გარდა შემდეგი შენიშვნისა:

1.1 სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ხელშეკრულება გაფორმდა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობაზე და სამუშაო უნდა დასრულდეს ამა წლის 20 მაისს.

მონიტორინგის ჯგუფის წევრის, დავით ჭეიშვილის, განცხადებით წარმოდგენილია წერილი აღნიშნული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა ვიზუალური დათვალიერებით უნდა გადამოწმდეს.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა განთავსებული შვიდსართულიან შენობაში. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს. შენობაში არის უკვე ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა სკოლის ნაწილში ასეთი სველი წერტილი 20 მაისისათვის მოეწყობა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ორკვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 სამუშაო დღის ვადა.

14. ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა ფლობს 682.00 კვ.მ სასწავლო ფართს. აღსანიშნავია, რომ პროექტის თანახმად, მიმდინარეობს მესამე სართულის დაშენება-მოპირკეთება.

1.2 სკოლას, შენობაში გამოყოფილი აქვს ფართი სპორტული დარბაზისთვის, გარდა ამისა, სკოლა გეგმავს ღია სპორტული მოედნის მოწყობას ეზოში.

1.3 სკოლას არა აქვს ლაბორატორია, ვინაიდან სასწავლებელში მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს სწავლება.

1.4 სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის არჩეული სახელმძღვანელოები.

1.5 სკოლას აქვს 2 კომპიუტერი.

1.6 სკოლას დაწყებული აქვს ვებ გვერდის შექმნა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ფურცხვანიძემ, განაცხადა, რომ სკოლამ, დამატებით შეიძინა 3 კომპიუტერი და ჯამში ფლობს 5 კომპიუტერს, წარმოდგენილია ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საიტის დამზადების შესახებ ხელშეკრულება.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოსთან შეთანხმებით, აღნიშნული შენიშვნები მოხსნა. ამასთანავე, აღნიშნა, რომ მოსწავლეთა კონტინგენტის განსაზღვრისას, გათვალისწინებული იქნება მხოლოდ 682.00 კვ. მ. ფართი.

სხდომის თავმჯდომარემ, სპორტულ დარბაზთან დაკავშირებულ შენიშვნაზე განაცხადა, რომ ავტორიზაცის მაძიებელი სკოლა ფლობს სპორტულ დარბაზს და აღნიშნული პუნქტი ინფორმაციულ ხასიათს ატარებს, ხოლო სასკოლო ლაბორატორიასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე განაცხადა, რომ საბჭოს პრაქტიკის შესაბამისად, დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხურის განმახორციელებლ სკოლას, არ მოეთოხვება ლაბორატორიის ფლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა დამატებით, 15 სასკოლო მერხის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ სკოლა, ჯამში ფლობს 100 ინდივიდუალურ მერხს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 100 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მესტიის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 435891117) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

15. შპს - ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. შპს - ღონე ქვეყნისა გეგმავს განახორციელოს დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

1.2 წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას არ ჰყავს მანდატური.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, 1.1 შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

1.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2012 წლის 2 მაისს შპს - ღონე ქვეყნისამ გააფორმა ხელშეკრულება (ხელშეკრულების №67) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ხელშეკრულება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 96-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 96 მოსწავლისთვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - ღონე ქვეყნისას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ღონე ქვეყნისას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 96-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ღონე ქვეყნისას (საიდანტიფიკაციო კოდი: 412683546) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 96-ით.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 21:00 საათზე.

16. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროგრამებში მოცემულია მიზანი, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციათა ჩამონათვალს, რაც სწავლის შედეგების იდენტურია. ზოგ პროგრამაში არ არის მითითებული დასაქმების სფერო: მაგ.: კბილის ტექნიკოსის I, II, III; ექთნის თანაშემწის II; ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.

1.2 ყველა პროგრამას თან ახლავს სასწავლო კურსების სილაბუსები, სადაც არის გარკვეული ხარვეზები: ზოგიერთ სილაბუსში მიზანი შემოიფარგლება სასწავლო კურსის დასახელებით, მაგ.: კბილის ტექნიკოსის I საფეხურის სილაბუსი „არაორგანული ქიმია“: კურსის მიზანია არაორგანული ქიმიის ზოგადი საფუძვლები; კბილის ტექნიკოსის I საფეხურის სილაბუსი „ზოგადი ფსიქოლოგია“: კურსის მიზანია პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგია.

1.3 ზოგ სილაბუსში სწავლის შედეგებში აღწერილი კომპეტენციათა ჩამონათვალი არ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების რუკას. მაგ.: კბილის ტექნიკოსის II საფეხურის სილაბუსი - „ინგლისური ენა 2“ სწავლის შედეგში მოიცავს კომუნიკაციის უნარს, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე ეს საგანი ანვითარებს ცოდნა და გაცნობიერების, კომუნიკაციისა და სწავლის უნარებს.

1.4 პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე - ერთი და იგივე კურსის შემდგომ საფეხურზე სწავლების შემთხვევაში მიღწეული შედეგი მარტივდება. მაგ. კბილის ტექნიკოსის I საფეხურის სილაბუსი - „ინგლისური ენა 1“ სწავლის შედეგში მოიცავს ცოდნისა და გაცნიბიერების და კომუნიკაციის უნარს, ხოლო კბილის ტექნიკოსის II საფეხურის სილაბუსი - „ინგლისური ენა 2“ სწავლის შედეგში მოიცავს მხოლოდ კომუნიკაციის უნარს.

1.5 ყველა სილაბუსში სასწავლო კურსის შინაარსის ნაწილში თემები გაწერილია სასწავლო კვირებზე საათების გარეშე, სასწავლო კვირები შეიცავს ერთ შუალედურ შეფასებას, დასკვნით და განმეორებით გამოცდას. დასკვნით და განმეორებით გამოცდებს ეთმობა თითო კვირა შუალედის გარეშე, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანების მე–4 მუხლის (პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება) მე–5 პუნქტს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ბიბლიოთეკა განთავსებულია მე-4 სართულზე, სადაც პანდუსი არ არის, მაგრამ შინაგანაწესის შეზღუდული შესაძლებლობის პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესის მიხედვით (თავი V, მუხლი 25-ს 1 პუნქტის თ ქვეპუნქტი) ბიბლიოთეკით საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკის გამგემ უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სრულად იზიარებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს, ამასთან, მოცემული ხარვეზების გამოსწორების დამდასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულების მიერ ცენტრში იქნა წარმოდგენილი.

მომხსენებელმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული და აქვე განმარტა, რომ შესაბამისი კანონმდებლობით გაწერილია ავტორიზაციის პროცესის შემადგენელი ეტაპები და მათი განხორციელების წესი. ცენტრი არ არის უფლებამოსილი ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ ხელახლა შეამოწმოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის თანახმად ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ დაფიქსირებული შენიშვნები არის არსებითი ხასიათის და დაწესებულებამ ისინი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა იგი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზები რეალურად არსებობდა ექსპერტთა ვიზიტის დროს, ხოლო ვიზიტის შემდეგ მოხდა მათი გამოსწორება.

საბჭომ იმსჯელა შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 243913958) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

17. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მეორე შენობა სარემონტოა.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით კახნიაშვილმა, განმარტა, რომ სარემონტო ფართი, პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას არ იქნება გათვალისწინებული.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭიღლაძის, განცხადებით, დაწესებულება, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, სარემონტო ფართის გაუთვალისიწნებლად, საკმარის სასწავლო ფართს ფლობდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 450-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მისი მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 450 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ავტორიზაციისა და პროფეისიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205300048) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

18. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საგანძურის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის, პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან. გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ტუროპერატორის IV საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების სასწავლო კურსის სწავლება, რომელიც ტუროპერატორის პროფესიული სტანადარტის თანახმად გათვალისწინებულია ტუროპერატორის V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხდა, რომ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნას. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი გამოწვეული იყო ტექნიკური შეცდომით, რომელიც უკვე გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 680-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების საერთო ფართის ოდენობის გათვალისწინებით, ცენტრი ვერ განაცხადებდა თანხმობას პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 680-ით განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამასთან, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ

საგანძურს ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნის თანახმად გააჩნდა „მერხი – 152 ცალი, მერხი და სკამი გადაბმული – 12 ცალი“, შესაბამისად მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 164 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საგანძურის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საგანძურის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 164-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საგანძურს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206122863) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 164-ით.

19. შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ბუღალტრის პროფესიული სტანდარტის მე-3 საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერში - ,,კომუნიკაციის უნარი“ გაწერილია შემდეგი: ,,აქვს უცხო ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტების შინაარსის გაგების უნარი.“ აღნიშნული შედეგები და ამ შედეგის მისაღწევად საჭირო შესაბამისი საკითხების სწავლება არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში, მათ შორის ინგლისური ენისა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებში, ასევე არ არის განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებშიც.

1.2 ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 120 კრედიტიდან ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა მხოლოდ 2 კრედიტი, რომელმაც პროფესიული სტანდარტის კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით პროფესიულ სტუდენტს უნდა მისცეს ცოდნა ,,უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემისა და ანგარიშის წარდგენის, ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენების კომუნიკაციის, ტექნიკური ინსტრუქციების და მედიკამენტების ანოტაციის წასაკითხად.“

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წერის, ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, 1.1 და 1.2 შენიშვნები არ შედიოდა ავტორიზაციის საბჭოს განხილვის უფლებემოსილებაში, ვინაიდან აღნიშნული ხარვეზების შინაარსი სცილდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. მოცემული საკითხებზე უნდა ემსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი მერხი ჰქონდა შპს - ინტერბიზნესის აკადემიას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლებელი აღჭურვილი იყო აუდიტორიებში განთავსებული 61 ორადგილიანი მერხითა და ლაბორატორიებში არსებული მაგიდებითა და სკამებით. ავტორიზაციის ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ

შენობის პირველი სართულზე განთავსებული იყო მხოლოდ ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იყო შესაბამისი სასწავლო ინვენტარით. შპს - ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ კომპლექსური მიდგომით დაითვალეს დაწესებულებაში არსებული მერხების, სკამების, ლაბორატორიებში განთავსებული მაგიდებისა და ადამიანური რესურსის რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დამატებით მოახსენა, რომ სასწავლებელს ჰქონდა 49 სკამი საწერი მოწყობილობით.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ლაბორატორიებში არსებული მაგიდებისა და სკამების რაოდენობა. რაც შეეხება 49 საწერი მოწყობილობით აღჭურვილ სკამს, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული ინვენტარი ვერ ჩაითვლებოდა სასწავლო მერხად. მოცემული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექპერტს, თეა შაყულაშვილს, შეეძლო თუ არა დაწესებულებას მატერიალური და ადამიანური რესურსით გათვალისწინებით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა 400 პროფესიული სტუდენტისთვის. თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 პროფესიული სტუდენტისთვის.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 პროფესიული სტუდენტისთვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ინტერბიზნესის აკადემიის (საიდანტიფიკაციო კოდი: 201990881) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

20. შპს - კოლეჯ გამას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის ბრძანება „ტუროპერატორის მესამე საფეხურისა და ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შესახებ. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ შეფასებულა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები.

1.2 დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, თითოეული პროგრამის მიზანია გაწერილი, ასევე თანდართულ სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზნები.

1.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტისთვის გათვალისწინებულია 37%. დარღვეულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მეორე პუნქტი.

1.4 სილაბუსების უმრავლესობაში გრაფაში - „საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა“ საათები განაწილებულია შემდეგნაიად: 2 კრედიტი - 50 სთ: დამოუკიდებელი მუშაობა 21 სთ, ლექცია/პრაქტიკული 24 სთ, შუალედური და დასკვნითი გამოცდა 5 საათი. თუმცა ამავე სილაბუსის „სალექციო“ და „პრაქტიკული“ თემების განაწილებისას - პროფესიული სტუდენტის რეალური დატვირთვის ჯამი თემატიკის მიხედვით 2 კრედიტის შესაბამის საათებს - 50 სთ. არ ასახავს. დარღვეულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

1.5 დაწესებულების დირქტორის ბრძანებით დამტკიცებულია „განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)“, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, საგანმანათლებლო პროგრამების

მიზნების, მოცულობის, დაშვების წინაპირობის, პროგრამის საფეხურის შესახებ, თუმცა არ არის სწავლის შედეგები და შეფასების წესი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ 1.1 და 1.2 შენიშვნები იყო არაარსებითი და საბჭოს შეეძლო მათზე პრაქტიკულად არ ემსჯელა. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ მოცემულ პოზიციას. რაც შეეხება, 1.3 და 1.4 შენიშვნებს, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ შენიშვნები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადგილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანების დარღვევას.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია 1.3 და 1.4 შენიშვნებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცდახა, რომ სახეზე იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რაც უმოკლეს ვადაში გასწორდა, ხოლო გამოსწორებული დოკუმენტაცია კი უკვე წარმოდგენილი იყო ცენტრში.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, თეა ნადირაძეს, თუ იყო შესაძლებელი, რომ ამავე სხდომაზე მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმების გზით დაედასტურებინა ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების განცხადებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ხარვეზები გამომდინარეობდა ტექნიკური შეცდომიდან, თუმცა ვინაიდან საექსპერტო ვიზიტის დროს ხარვეზები გამოვლინდა, მათი ასახვა მოხდა ავტორიზაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნაში. საბჭოს სხდომაზე დოკუმენტური გადამოწმების შემდეგ, თეა ნადირაძემ, დაადასტურა 1.3 და 1.4 შენიშვნების გამოსწორების ფაქტი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს 1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები და შეფასების წესები ასახული იყო კურიკულუმში, თუმცა სტანდარტის თანახმად მათი ასახვა უნდა მომხდარიყო კატალოგშიც. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის. საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 130-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას შეეძლო 130 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - კოლეჯ გამას ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შპს - კოლეჯ გამას ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კოლეჯ გამას (საიდენტიფიკაციო კოდი: 419984262) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:30 საათზე.

დავით კახნიაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი